

ხარისხის ინფრასტრუქტურის ბაზრის პოტენციალის წინასწარი შეფასება - საქართველო

მოკლე მიმოხილვა - მწვანე და ციფრული ღირებულებათა ჯაჭვებისთვის ხარისხის
ინფრასტრუქტურის (QI) მომსახურების საჭიროების კვლევა

პროექტი: ხარისხის სტანდარტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში გაზრდილი
ვაჭრობისთვის, PN: 2021.2236.4

ანგარიში მოამზადა: თამარ ლაბარტყავამ

თარიღი: 15 დეკემბერი 2022

1 შესავალი

ევროკავშირი თანამშრომლობს აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმების ქვეყნებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) გარემოსდაცვითი, კლიმატმედეგობისა და გაციფრულების საკითხების ხელშეწყობის მიზნით. ამ თემების გათვალისწინებით, გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტი (Physikalisch-Technische Bundesanstalt/PTB) ახორციელებს პროექტს „ხარისხის სტანდარტები გაზრდილი ვაჭრობისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“, PN: 2021.2236.4. პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც აუცილებელია მდგრადი და ციფრული ტრანსფორმაციისთვის.

წინამდებარე კვლევა აღწერს საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის შესაძლებლობას, რათა მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეკონომიკის მწვანე და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში. ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურებას არსებითი როლი აქვს ეკონომიკის ეფექტური და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. სტანდარტები, გაზომვები და ლაბორატორიული კვლევები უზრუნველყოფს ნდობის ჩამოყალიბებას ეკონომიკურ მოთამაშეებს შორის და ხელს უწყობს წარმოებისა და დისტრიბუციის შეუფერხებელ მუშაობას. წარმოების მდგრადი მეთოდები მოითხოვს შესაბამის მტკიცებულებას, რომ თავიდან იყოს აცილებული არასწორი ინფორმაციის გავრცელება კომპანიის პროდუქტების/მომსახურების გარემოზე ზეგავლენის შესახებ. ამ შემთხვევაშიც გაციფრულების პროცესსა და ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურებას ეკონომიკის განვითარებაში დიდი როლი ენიჭება. საბოლოოდ, ხარისხის ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს იყვნენ ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში და განავითარონ ეროვნული ეკონომიკა მდგრადი მიდგომის გათვალისწინებით. კვლევა ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკაზე, განვითარებაზე, ხარისხის ინფრასტრუქტურაზე არსებულ პუბლიკაციებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს, ასევე ინტერვიუებს, რომლებიც ჩატარდა 2022 წლის შემოდგომაზე. კვლევისას გამოყენებული იყო გზამკვლევი და მეთოდოლოგია „კალიდენა“ (www.calidena.ptb.de).

2 ქვეყნის ეკონომიკისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის შეფასება

სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიკაცია და ინოვაციური პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის, განსაკუთრებით მწვანე და ციფრული ტრანსფორმაციის კონტექსტში. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება (AA)/ღრმა და

ყოველწლიური თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის გაზრდისთვის სახარბიელო პირობებს ქმნის. თურქეთში წარმოებულ ნედლეულზე დამოკიდებულება აღარ წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას დიაგნოსტიკური კუმულაციის მექანიზმის ამოქმედების შედეგად, რომელიც სერიოზულ შესაძლებლობებს აძლევს ქართველ მწარმოებლებს გააფართოვონ საკუთარი ბაზრები სამრეწველო პროდუქტებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში¹. ამასთან, ძლიერი სახელმწიფო მხარდაჭერა სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ სახით, საგულისხმო წამახალისებელი ფაქტორია კერძო სექტორის განვითარებისთვის. „ეკონომიკა 2030“-ის დოკუმენტში მითითებულია პრიორიტეტული სექტორები, რომლებსაც ექსპორტის ზრდისა და იმპორტის ჩანაცვლების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნიათ. ამ პროდუქტებს შორისაა: სამშენებლო მასალები, მეტალის, პლასტიკის, რეზინისა და მინის პირველადი პროდუქტები და ავეჯი².

საქართველოს მთავრობის კლიმატის ცვლილების სტრატეგია მიზნად ისახავს ეროვნული სათბურის აირების ემისიების 35%-ით შემცირებას 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით ეკონომიკის ყველა ძირითადი სექტორისთვის, რაც მოიცავს მშენებლობასა და სამრეწველო სექტორში დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებას კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურების ხელშეწყობით. ქმედებები მოიცავს: მუშაობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების შემოღებას, ენერგოაუდიტების ჩატარებისთვის პერსონალის სერტიფიცირებას, სამრეწველო სექტორში ემისიის ფაქტორების შესწავლას, ნარჩენების რეციკლირების მხარდაჭერას და ა.შ.³. ამავდროულად, გაციფრულების პროცესი საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

GQII 2020-ის⁴ მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 184 ქვეყანას შორის მე-80 ადგილს იკავებს. უკანასკნელ წლებში საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი პროგრესი მიაღწიეს საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით, კერძოდ:

- სსიპ⁵ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“⁶ არის:
 - აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობის (EA) წევრი და ურთიერთაღიარების მრავალმხრივი შეთანხმების (EA MLA) ხელმომწერი;
 - ლაბორატორიების საერთაშორისო აკრედიტაციის თანამშრომლობის (ILAC) სრულუფლებიანი წევრი და მრავალმხრივი აღიარების შეთანხმების (ILAC MRA) ხელმომწერი;
 - საერთაშორისო აკრედიტაციის ფორუმის (IAF) სრულუფლებიანი წევრი და მრავალმხრივი აღიარების შეთანხმების (IAF MLA) ხელმომწერი.
- სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ (აერთიანებს მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტსა და სტანდარტების დეპარტამენტს)⁷:

¹ დიაგნოსტიკური კუმულაცია არ ეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 06.07.2021, ახალი ამბები, პრეზენტაცია.

³ საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია, 2021.

⁴ ხარისხის ინფრასტრუქტურის გლობალური ინდექსი (GQII) ეყრდნობა აკრედიტაციის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული და საერთაშორისო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ მონაცემებს. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ <https://gqii.org/programme/>

⁵ სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

⁶ დეტალური ინფორმაცია სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ საქმიანობის შესახებ იხილეთ www.gac.gov.ge

⁷ დეტალური ინფორმაცია სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ საქმიანობის შესახებ იხილეთ www.geostm.ge

- მეტროლოგიის მიმართულებით, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო არის CGPM-ის (წონისა და გაზომვების გენერალური კონფერენცია) ასოცირებული წევრი. 2008 წლიდან შეუერთდა წონისა და გაზომვათა საერთაშორისო კომიტეტის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების (CIPM MRA) მიერ გაცემული გაზომვათა ეროვნული სტანდარტების, დაკალიბრებისა და გაზომვების სერტიფიკატების ცნობის შესახებ შეთანხმებას. საერთაშორისო დონეზე აღიარებული გაზომვის მიმართულებებში, გააჩნია დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობის (CMC) 65 ჩანაწერი. ასევე მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო ლაბორატორიათშორის შედარებებში. ხორციელდება ქმედითი ნაბიჯები საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების ევროპულ ასოციაციაში (EURAMET) გასაწევრიანებლად;
- სტანდარტიზაციის კუთხით, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო არის სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) წევრ-კორესპონდენტი, საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) ასოცირებული წევრი და სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN/CENELEC) აფილირებული წევრი.

მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანიზაციების ზოგიერთი მომსახურების ექსპორტი ხორციელდება, ძირითადად მეზობელ ქვეყნებში (მაგ., მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტის, საკალიბრო ლაბორატორიების მიერ). თუმცა რიგ შემთხვევაში, ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურება მაინც უფრო მიწოდებაზე ორიენტირებულია და მოთხოვნა მომსახურებაზე ნაკლებად არის ინიცირებული მომხმარებლების/სამრეწველო სექტორის მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების თანამშრომლობის გაძლიერებას კერძო სექტორთან, რომ ამადლდეს კერძო სექტორის წარმომადგენლების ცნობიერების დონე ხარისხის ინფრასტრუქტურის საკითხებში, ისევე როგორც მიეცეს შესაძლებლობა ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) დააკმაყოფილონ კონკრეტული ღირებულებათა ჯაჭვის საჭიროებები.

საქართველოში ხელმისაწვდომი შესაბამისობის შეფასების ამჟამინდელი მომსახურება სრულად ვერ ფარავს ყველა სამრეწველო პროდუქტს, ყველა პარამეტრს და ამდენად, ზოგიერთი პროდუქტის დადგენილ მახასიათებლებთან შესაბამისობის დადასტურების დამაბრკოლებელ ფაქტორად აღიქმება, რაც უარყოფითად მოქმედებს კონკურენტუნარიანობაზე (მაგ., ვინაიდან დიდი ზომის ნიმუშების ტრანსპორტირების ხარჯები საზღვარგარეთ შესაბამისობის შეფასებისთვის მაღალია, პროდუქტის თვითღირებულება იზრდება, მაშინ როცა იმპორტირებულ პროდუქტს შესაბამისობის შეფასების დოკუმენტები თან ახლავს). შესაბამისობის შეფასების მომსახურების განვითარება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და პრიორიტეტული მიმართულებები იდენტიფიცირებულია, მათ შორისაა: სამშენებლო მასალები, შესაფუთი მასალები, ტექსტილი, ხისგან დამზადებული პროდუქტები, ავეჯი და ა.შ.⁸ შესაბამისობის შეფასება ასევე მოიცავს CE მარკირებას, რომელიც მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქტისთვის. აღნიშნული მომსახურების გაწევა

⁸ ანგარიში „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერა - სამრეწველო პროდუქტების შესაბამისობის შემფასებელი ლაბორატორიების შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასება“, 8.12.2021.

ნოტიფიცირებულ ორგანოებს შეუძლიათ, მაგრამ მსგავსი ორგანოები საქართველოში ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის⁹.

შესაბამისობის შეფასების გარდა, ხარისხის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის, დღის წესრიგშია, მაგალითად, შემდეგი საკითხები: გოსტის სტანდარტებიდან საერთაშორისო/ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა როგორც სამრეწველო სექტორის, ისე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ (ეტაპობრივად მიმდინარეობს), ISO ან EN სტანდარტების ხელმისაწვდომობა ქართულ ენაზე (ეტაპობრივად მიმდინარეობს), სტანდარტების ინტერპრეტაციის უზრუნველყოფა, კერძო კომპანიებში მენეჯმენტის სისტემის სერტიფიცირების არაადეკვატური პრაქტიკის აღმოფხვრა¹⁰.

და ბოლოს, ზოგადად, DCFTA-ს მოთხოვნებით გათვალისწინებული ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ამ კანონმდებლობის სრულად ამოქმედება გამოწვევას წარმოადგენს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორისთვის (მაგ., კერძო სექტორის ინფორმირებულობა კანონმდებლობისა და მოსალოდნელი/ასამოქმედებელი ცვლილებების შესახებ, წარმოებული პროდუქტების შესაბამისობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან და საერთაშორისო/ევროპულ სტანდარტებთან, ბაზარზე შედამხედველობის სრული ამოქმედება, შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების არარსებობა ქვეყანაში და ა.შ.).

3 მწვანე ღირებულებათა ჯაჭვისთვის ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურების გაწევის შესაძლებლობები

საქართველოს ეკონომიკის შეფასებიდან, მათ შორის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და განვითარების თანამშრომლობის პროექტების პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ისევე როგორც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად, 3 ღირებულებათა ჯაჭვი შეფასდა: სამშენებლო მასალები, შესაფუთი მასალები და ავეჯი. ხარისხის ინფრასტრუქტურის პოტენციალის წინასწარი შეფასებისთვის ღირებულებათა ჯაჭვის შერჩევის მიზნით განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმები, რომ ღირებულებათა ჯაჭვს:

- ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისთვის და დასაქმებისთვის;
- იყოს მნიშვნელოვანი ქვეყნის საგარეო (ექსპორტი და იმპორტი) ან ადგილობრივი ვაჭრობისთვის;
- წარმოადგენდეს პრიორიტეტს განვითარების ეროვნული გეგმით და გააჩნდეს პოლიტიკური მხარდაჭერა;
- მწვანე და ციფრული ტრანზფორმაციისთვის კუთხით იყოს მნიშვნელოვანი პროდუქტი;
- არსებობდეს ქმედებების განხორციელების საჭიროება უსაფრთხოების, ჯანდაცვის, გარემოსდაცვითი და ხარისხის კუთხით;
- ხელს უწყობდნენ სხვა ღონისძიებები მათ მიერ განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში (GIZ და სხვა ორგანიზაციები);
- არსებობდეს ინტერესი ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების მხრიდან მონაწილეობა მიიღონ PTB-ის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი „კალიდენას“ პროცესის განხორციელებაში.

სამშენებლო მასალები. საქართველოში სამშენებლო სექტორის ბუმია, რომლის წილი 2016-2021 წლების მთლიან შიდა პროდუქტში 7.5%-ს შეადგენდა¹¹. ბუნებრივია, მოთხოვნა სამშენებლო

⁹ ინფორმაცია ნოტიფიცირებული ორგანოების შესახებ იხილეთ NANDO-ს ვებგვერდზე <https://ec.europa.eu/growth/tools-databases/nando/>

¹⁰ აღნიშნული სერტიფიკატი საქართველოში აკრედიტებული ორგანოების მიერ არ არის გაცემული.

¹¹ PMCG-ის კვლევა, სამშენებლო სექტორი, სექტორის მოკლე მიმოხილვა, გამოცემა 3, ივნისი 2022.

მასალებზე მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო სექტორის განვითარებასთან. მწვანე მეთანხმებიდან გამომდინარე, სამშენებლო მასალების სექტორი საინტერესოა, როგორც მწვანე, ასევე ცირკულარული ეკონომიკის, შენობების ემისიის შემცირებისა და ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით.

ადგილობრივად წარმოებული სამშენებლო პროდუქტების დიდი ნაწილი საქართველოს ბაზარზე იყიდება, თუმცა, სერიოზული კონკურენციის გაწევა უწევთ იმპორტირებული პროდუქტებისთვის. ამავდროულად, ექსპორტის ტენდენციებიც შეიმჩნევა. სამშენებლო მასალების ხარისხი ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და გარემოსდაცვის კუთხით - მოთხოვნები, რომელიც ყოველთვის ადეკვატურად არ არის აღქმული ბიზნეს მომხმარებლების (B2B), საბოლოო მომხმარებლების მიერ ან სახელმწიფო შესყიდვებისას.

საქართველოს მთავრობამ მიიღო N476-ე დადგენილება „სამშენებლო პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“¹², რომელიც ჰარმონიზებულია ევროკავშირის რეგულაცია N305/2011-სთან და ამ ეტაპზე ფარავს შემდეგ პროდუქტებს: ცემენტი, არმატურა, ელექტრო კაბელები, პლასტმასის მილები და თაბაშირ-მუყაო¹³. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტი ეტაპობრივად სხვა სამშენებლო პროდუქტებსაც შეეხება.

სამშენებლო მასალების სექტორის მიერ ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად ქვეყანაში ზოგიერთი პროდუქტისა და პარამეტრის ლაბორატორიული კვლევის არარსებობა აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო მასალების ლაბორატორიები არსებობს, არის კვლევები, რომლებიც საქართველოში არ სრულდება, მაგ., ცეცხლმდეგობა კარებისთვის, სენდვიჩ-პანელებისთვის. აღნიშნული ლაბორატორიული კვლევები სახელმწიფო შესყიდვებისა და სასტუმროების ტენდერებში მონაწილეობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადგილობრივ ბაზარზე, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის კი CE მარკირება მოითხოვება - მომსახურება, რომლის მიღება საზღვარგარეთ ხორციელდება.

მართვის სისტემების სერტიფიცირება (მაგ., ISO 9001, ISO 14001, ISO 45001) მნიშვნელოვანია კომპანიებისთვის. ასევე, არის ზოგიერთი კომპანია, რომელიც შეიძლება დაინტერესებული იყოს შიდა ლაბორატორიის აკრედიტაციით ISO 17025 სტანდარტის შესაბამისად.

ქართული სამშენებლო მასალების კლასტერი (GCMC) ჩამოყალიბდა Clusters4Development პროექტის მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ და ხორციელდება GIZ-ის მიერ (პროექტი 2023 წლის ივნისში სრულდება). კლასტერში გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის პროდუქტის მწარმოებელი 17 მცირე და საშუალო ზომის კომპანია. GCMC ცდილობს ხარისხის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები მოაგვაროს მისი წევრებისთვის.

შესაფუთი მასალები. შესაფუთი მასალების სექტორში ძირითადად სურსათისა და სასმელების შესაფუთი მასალების მწარმოებლები დომინირებენ. ამდენად, ეს ღირებულებათა ჯაჭვი აგროსასურსათო სექტორში მიმდინარე ტენდენციებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. კომპანიების უმრავლესობა ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებს, თუმცა, არიან ისეთი კომპანიებიც, რომელთა პროდუქცია ექსპორტზე გადის. ნედლეულის იმპორტზე დამოკიდებულება შესაფუთი მასალების მწარმოებლების მიერ ერთ-ერთ დაბრკოლებად სახელდება. ნედლეულის მიწოდების ჯაჭვში შეფერხებების, არასტაბილური ფასებისა და ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით, საბოლოო პროდუქტის თვითღირებულება გაიზარდა. პრობლემებია ნედლეულის მიწოდებასთან დაკავშირებით, რომელსაც ასევე ხელს უწყობს რეციკლირების (გადამუშავების) პრაქტიკის ნაკლებობა. რეციკლირებული (გადამუშავებული) მასალების

¹² ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ.

¹³ ზოგიერთი სახეობა.

შეგროვებისა და მათი ხელახალი გამოყენების პრაქტიკა არსებობს, მაგრამ აკმაყოფილებს თუ არა მსგავსი მასალა სურსათთან შეხებაში მყოფი მასალის მოთხოვნებს, არ არის დადასტურებული.

ამჟამად, საქართველოს მთავრობის დადგენილება N72 „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ ძალაშია, მაგრამ იგი ჩანაცვლდება საქართველოს მთავრობის დადგენილება N317-ით „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“, რომელიც ჰარმონიზებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან. ასევე, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება N472 „ტექნიკური რეგლამენტის - პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულ დადგენილებაში მოხსენიებული სტანდარტი EN 13432:2000 (სსტ ენ 13432:2000/2018) „შესაფუთი მასალა – მოთხოვნები შესაფუთი მასალის მიმართ, რომლის აღდგენა შესაძლებელია კომპოსტირებითა და ბიოდაშლით – გამოცდის სქემა და შეფუთვის საბოლოო შეფასების კრიტერიუმები“ რეგისტრირებულია საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მექანიზმი შესაფუთ მასალებთან დაკავშირებით ჯერ ამოქმედებული არ არის. ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნების სრული სია შესაფუთი მასალების შესახებ ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებგვერდზე¹⁴. აღნიშნული მოთხოვნები ეტაპობრივად ინტეგრირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობაში და ასევე შეეხება მძიმე მეტალებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, REACH¹⁵-ის მოთხოვნებს და ა.შ.

ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების ინფორმაციით, სახელმწიფო ზედამხედველობის არარსებობის გამო კონკურენცია ზოგჯერ არაჯანსაღია, რაც გულისხმობს ბაზარზე კერძო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ საქმიანობის არაკეთილსინდისიერ განხორციელებას, რომელიც არ კონტროლდება. მაგ., მიუხედავად იმისა, რომ აიკრძალა პოლიეთილენის პარკების გამოყენება და ზოგიერთმა მწარმოებელმა დაიწყო ბიოდეგრადირებული პარკების წარმოება, რაც მათთვის დამატებით ძალისხმევასა და ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვდა, პოლიეთილენის პარკები ბაზარზე მაინც არის განთავსებული და იყიდება. ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ლაბორატორიულ კვლევებთან და ვინაიდან შესაფუთი მასალის კონკრეტულ მოთხოვნებთან დადასტურება შესაბამისი ლაბორატორიების არარსებობის გამო ვერ ხდება, ხელს უშლის გარკვეულწილად ჯანსაღ კონკურენციას.

ზოგადად, ლაბორატორიული მომსახურების მიღება, საჭიროების შემთხვევაში, საზღვარგარეთ, ძირითადად თურქეთში ხდება, მაგ., ლაბორატორიული კვლევა მიგრაციაზე, კუმშვადობაზე (short span compression tests/SCT CD), წონისა (g/m^2) და ტენიანობის დადგენა და ა.შ. სურსათთან შეხებაში მყოფი მასალების, მათ შორის შესაფუთი მასალების, მიკრობიოლოგიური კვლევის განხორციელება ადგილობრივ, ქართულ ლაბორატორიებში შესაძლებელია.

მართვის სისტემების სერტიფიცირებას რაც შეეხება, ზოგიერთი კომპანია ფლობს ISO 9001-ის, ISO 22000-ის სერტიფიკატებს. ასევე არის შესაფუთი მასალის მწარმოებლის BRCGS-ის სტანდარტის მიხედვით სერტიფიცირების შემთხვევაც (მაგ., კაკასპაკი)¹⁰.

ხარისხის ინფრასტრუქტურის ძირითადი გამოწვევა შესაფუთი მასალების ღირებულებათა ჯაჭვისთვის შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების არარსებობაა ქვეყანაში, ისევე როგორც კერძო სექტორის წარმომადგენლების მწირი ცოდნა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ. როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, მეტროლოგიური მომსახურება ფართოდ არ გამოიყენება

¹⁴ https://food.ec.europa.eu/safety/chemical-safety/food-contact-materials/legislation_en

¹⁵ REACH (Registration, Evaluation, Authorisation and restriction of chemicals) - ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაცია, შეფასება, დაშვება და შეზღუდვა

კომპანიების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, სულ მცირე, წარმოების პროცესში სასწორს იყენებენ.

საქართველოს შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ასოციაციას (PMAG) და მის სამ კლასტერს (თბილისი, კახეთი, იმერეთი) მხარს უჭერს ევროკავშირი და UNDP. ასოციაცია დონორებისა და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ძალისხმევით ცდილობს ევროკავშირის ბაზარზე შედგენას.

ავჯი. აღნიშნულ სექტორში ბევრი მცირე ზომის კომპანიაა და მათ საქმიანობაზე დიდი გავლენა აქვს მშენებლობისა და სამშენებლო მასალების სექტორების ტენდენციებს. არის ზოგიერთი საერთო პროდუქტი ამ ღირებულებათა ჯაჭვებისთვის, მაგალითად კარები.

ზოგადად, იმპორტირებულ ნედლეულზე დამოკიდებულება მუდმივ გამოწვევას წარმოადგენს ავჯის მწარმოებლებისთვის. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს მაღალი ხარისხის ხის მასალის ხელმისაწვდომობა და კონკურენცია თურქეთიდან იმპორტირებულ დაბალი ხარისხის ავჯთან. ზოგჯერ, ხის იმპორტიც ხორციელდება, ვინაიდან ადგილობრივი მასალა არაა დეკვატურად არის გადამუშავებული ან არ აქვს FSC (Forest Stewardship Council) სერტიფიკატი (რომელსაც ზოგ შემთხვევაში ექსპორტისას ითხოვენ). ზემოთ აღნიშნული ფაქტორები კი წარმოების ხარჯებს ზრდის.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია ძირითადად საქართველოში ხდება, თუმცა, ზოგიერთი კომპანია რეგულარულად ახორციელებს ექსპორტს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მწარმოებელმა ხარისხისა და სტაბილური მიწოდების მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

ამ ეტაპზე ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურება პრაქტიკულად არ გამოიყენება ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების მიერ, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი კომპანიის ხარისხის მართვის სისტემა სერტიფიცირებულია ISO 9001 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად¹⁰. ხის მასალისთვის ფიტოსანიტარული სერტიფიკატი შეიძლება იყოს საჭირო, რომელსაც საექსპორტო პროდუქტისთვის სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო გასცემს. FSC სერტიფიკატი და ფორმალდეჰიდის ლაბორატორიული კვლევა, ასევე მოითხოვება ექსპორტის შემთხვევაში და მსგავსი მომსახურება საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის. ლაბორატორიულ კვლევაზე მაინცდამაინც დიდი მოთხოვნა ამჟამად არ აღინიშნება, ვინაიდან იმპორტირებული ნედლეულის თანმხლები შესაბამისი დოკუმენტები ხელმისაწვდომია (მაგ., FSC სერტიფიკატი ხის შემთხვევაში, საღებავების სერტიფიკატები და ა.შ.). მეტროლოგიური მომსახურება ფართოდ არ გამოიყენება, თუმცა, არსებობს გაზომვის საშუალებები, რომელსაც წარმოების პროცესში იყენებენ.

ენობრივი ბარიერისა და დროის სიმცირის გამო, მცირე ზომის კომპანიებისთვის სირთულეს წარმოადგენს ინტერნეტით ინფორმაციის მოპოვება ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია შესაბამისი საექსპორტო ბაზრის მოთხოვნების შესახებ, რომელიც ასევე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ადგილობრივი ბაზრისთვის.

საქართველოს ავჯის კლასტერი შეიქმნა ევროკავშირისა და GIZ-ის მხარდაჭერით. კლასტერში 32 წევრია, აქედან ზოგიერთი მათგანი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან. კლასტერის მენეჯმენტი მოტივირებულია, სურს გააგრძელოს კლასტერის საქმიანობა, რაც გამოიხატება მათი მხრიდან არამატერიალური სახით კლასტერის საქმიანობის ხელშეწყობაში.

4 რეკომენდაციები

საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განმტკიცებისა და კერძო სექტორიდან ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურებაზე მოთხოვნის წახალისების მიზნით, PTB-ის პროექტი გეგმავს მეთოდოლოგია

„კალიდენას“ გამოყენებას და ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებთან მუშაობას შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვისთვის აუცილებელი მომსახურების განვითარებაზე.

წინასწარ შერჩეული 3 ღირებულებათა ჯაჭვის შეფასების შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 1-ში. ამ შედეგების მიხედვით, სამშენებლო მასალების ღირებულებათა ჯაჭვმა ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო. განხორციელებული კვლევის მიხედვით, სამშენებლო მასალებისა და შესაფუთი მასალების ღირებულებათა ჯაჭვს მწვანე ეკონომიკის კუთხით უფრო მაღალი პრიორიტეტი აქვს, ვიდრე ავეჯის წარმოებას. სამშენებლო მასალები დასახელებული იყო ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანიზაციათა უმრავლესობის მიერ, როგორც პრიორიტეტული სექტორი. დასაქმებულთა რაოდენობა სამშენებლო მასალების სექტორში უფრო მაღალია, ვიდრე შესაფუთი მასალებისა და ავეჯის სექტორში¹⁶. არც ერთ ღირებულებათა ჯაჭვს არ აქვს ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი, თუმცა, დიაგნოსტიკური კუმულაციის მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს მათ განიხილონ ბაზრების დივერსიფიკაცია და გაფართოება ევროკავშირის ქვეყნებში. სამივე ღირებულებათა ჯაჭვში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები დომინირებენ. ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციისა და მოპოვებული მასალების გაანალიზების შედეგად, ცხადი გახდა, რომ უფრო მრავალფეროვანი მომსახურება ხარისხის ინფრასტრუქტურის კუთხით სამშენებლო პროდუქტებსა და შესაფუთი მასალებს ესაჭიროება. თუმცა დამატებით გამოიკვეთა, რომ ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება და მომსახურება ხარისხის ინფრასტრუქტურის მიმართულებით უფრო მნიშვნელოვანია სამშენებლო პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს კერძო სექტორის წარმომადგენლების მოტივაცია გამოყონ დრო და რესურსები საჭირო ქმედებების განსახორციელებლად. სხვა დონორების საქმიანობა ამ ღირებულებათა ჯაჭვში ასევე მნიშვნელოვანია PTB-ისთვის, რომ თანამშრომლობის შესაძლებლობა არსებობდეს. ამ მხრივ, დონორების მხარდაჭერა ხორციელდება სამშენებლო მასალებისა (ევროკავშირი/GIZ, USAID) და შესაფუთი მასალების (ევროკავშირი/UNDP, USAID) ღირებულებათა ჯაჭვებში, მათ შორის კლასტერების/ასოციაციების განვითარების ხელშეწყობით. საქართველოს ავეჯის კლასტერს ამგვარი მხარდაჭერა ამჟამად არ აქვს.

ზემოთ მოხსენიებული ფაქტორებიდან, საკითხის მნიშვნელობისა და აქტუალურობიდან გამომდინარე, რაც ასევე მოიცავს არსებული და მისაღები რეგულაციების განხორციელებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, რეკომენდებულია პროექტმა პირველ პრიორიტეტად განიხილოს სამშენებლო მასალები. თუმცა სამშენებლო პროდუქტების ფართო ასორტიმენტისა და შესაბამისად განსხვავებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია შემდეგ ეტაპზე დადგინდეს პროდუქტი ან პროდუქტთა ჯგუფი, რომელზეც პროექტი იმუშავებს.

¹⁶ USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, სექტორისა და ღირებულებათა ჯაჭვის ანალიტიკური მიმოხილვა, მე-5 ანალიტიკური ანგარიში (კვარტალი III, 2021), თებერვალი 2022.

ცხრილი 1. ღირებულებათა ჯაჭვის შერჩევის მატრიცა

კრიტერიუმები/პროდუქტები	სამშენებლო მასალები	შესაფუთი მასალები	ავეჯი
მაღალი პრიორიტეტი მწვანე შეთანხმებისა ან გაციფრულების კუთხით	3	3	2
პრიორიტეტი ქვეყნისთვის და ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებისთვის	3	2	2
დასაქმებულთა რაოდენობა	3	2	2
ევროპაში ექსპორტის რეალური შესაძლებლობები	2	2	2
მცირე და საშუალო ზომის საწარმოების არსებობა ღირებულებათა ჯაჭვში	3	3	3
ხარისხთან დაკავშირებით მრავალფეროვანი მომსახურების საჭიროება	3	3	2
ხარისხის გაუმჯობესების გათვინობიერების დონე	3	2	2
არსებული მხარდაჭერა (დონორების მიერ განხორციელებული პროექტები)	3	3	2
დაინტერესებული მხარეების მოტივაცია გამოყონ დრო და რესურსები	3	2	2
სულ (მაქს. 27 ქულა)	26	22	19

შენიშვნა: თითოეული კრიტერიუმის შეფასება 0-დან 3-მდე (0 = არ ეხება, 1 = გარკვეულ დონეზე აკმაყოფილებს, 2 = ზოგადად აკმაყოფილებს, 3 = კარგი პირობებია კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად).